

საქართველოს კანონი  
„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N3, 16.01.2006, მუხ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„3. ამ კანონის, გარდა V თავის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-16 მუხლის, მოქმედება არ ვრცელდება თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის, მათ შორის, ლტოლვილის სტატუსის, მქონე პირებზე.“

2. მე-4 მუხლის მეოთხე პუნქტს დაემატოს შემდეგი სახის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ლტოლვილის მოწმობა.“

3. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“მუხლი 9. ორდინალური ვიზა

1. ორდინალური ვიზა გაიცემა საქართველოში მგზავრობისათვის:

ა) უცხოელებზე, რომლებიც შემოდიან საქართველოში საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, კომპანიების, ფირმების წარმომადგენლებზე, კონსულტანტებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად;

ბ) უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან საგანგებო სიტუაციათა ლიკვიდაციის მიზნით;

გ) უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან სამეცნიერო სემინარებში, კონფერენციებსა და სხვა სახის სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად;

ე) უცხოელებზე, რომლებიც მოემგზავრებიან საქართველოში რელიგიური მისიით ან სამუშაოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ ორგანიზაციებში;

ვ) უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მგზავრობენ ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით ან საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისათვის;

ზ) შემოქმედებითი კოლექტივებისა და სპორტული გუნდების ან ორგანიზაციების უცხოელ წევრებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

თ) საქართველოში ტურისტული მიზნით მომავალ უცხოელებზე;

ი) უცხოელებზე, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებიან კერძო საქმეებზე, მკურნალობის მიზნით, ახლობლებისა და ნათესავების საფლავების მოსანახულებლად;

კ) უცხოელებზე, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვებს საქართველოში;

ლ) პირებზე, რომლებიც ტრანზიტით კვეთენ საქართველოს;

2. ორდინალური ვიზა გაიცემა მოქმედების განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს.

3. ორდინალური ვიზით დადგენილი უნდა იყოს საქართველოში ყოფნის და საქართველოს ვიზის მოქმედების ერთნაირი ვადები.

4. ტრანზიტული მიზნით მომავალ პირთათვის საქართველოში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს თითოეულ შემოსვლაზე 72 საათს.“

4. მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოში უცხოელის კანონიერად ყოფნის საფუძველია ვიზა, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ან ლტოლვილის სტატუსი (მოწმობა), თუ ამ კანონითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

5. მე-16 მუხლს დაემატოს მესამე პუნქტი შემდეგი სახით:

„3. საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ლტოლვილის მოწმობის მფლობელი უცხოელები, ბინადრობის ნებართვის (ლტოლვილის მოწმობის) მოქმედების მთელ პერიოდში, საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან უვიზოდ.“.

6. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა არა უმეტეს 6 წლით საქართველოში დარჩენის მსურველ უცხოელზე:

ა) რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის, თავისუფალი პროფესიის ადამიანზე;

ბ) რომელიც საქართველოში ჩამოსულია სამკურნალოდ ან სასწავლებლად;

გ) რომელიც მოწვეულია შესაბამისი დარგობრივი სამთავრობო დაწესებულების მიერ, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ან ხელოვნების მოღვაწე, და მისი მოწვევა უკავშირდება სახელმწიფო ინტერესებს;

დ) რომელიც არის საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველი;

ე) რომელიც იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ;

ვ) რომელიც არის საქართველოს მოქალაქის ან ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის მეუღლე, მშობელი, შვილი, მშვილებელი, შვილობილი, და, ძმა, პაპა ან ბებია;

ზ) რომლის შესახებ არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თ) მონაწილეობს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის ან კომისიის კომიტეტის მიერ მისი განცხადების განხილვაში.“.

7. მე-19 მუხლის „ვ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ვ) რომელიც არის საქართველოს მოქალაქის ან ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის მეუღლე, მშობელი, შვილი, შვილიშვილი, მშვილებელი, შვილობილი, და, ძმა, პაპა ან ბებია;“

8. მე-20 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ა) უცხოელს, რომელმაც ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში კანონიერ საფუძველზე იცხოვრა სულ მცირე 6 წელი. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი;“.

9. მე-20 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ბ) საქართველოს მოქალაქის მეუღლეს, მშობელს, შვილს, შვილიშვილს, მშვილებელს, შვილობილს, დას, ძმას, პაპას ან ბებიას;“.

10. 23-ე მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტები ამოღებულ იქნეს.

11. 23-ე მუხლის „ი“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ი) თუ იგი შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში გაძევებულ იქნა ან არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც წესდება საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნისათვის;“.

12. 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

13. 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“5. უცხოელს, რომელიც კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვიდან 10 დღის გასვლის შემდეგ იმყოფება საქართველოში და საკუთარი ნებით სურს ქვეყნიდან გასვლა, უფლება აქვს დაუბრკოლებლად დატოვოს საქართველოს ტერიტორია. ამასთანავე, იგი ვალდებულია გადაიხადოს განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა ქვეყნიდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მასზე არ გაიცემა საქართველოს ვიზა და საქართველოში შემოსვლის ნებართვა მანამ, სანამ არ აანაზღაურებს აღნიშნულ დავალიანებას.”.

14. 50-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები და მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

15. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 61. საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის შეზღუდვა

საქართველოდან გაძევებულ უცხოელს ერთი წლის განმავლობაში არ მიეცემა საქართველოს ვიზა, საქართველოში შემოსვლის ნებართვა და ბინადრობის ნებართვა, ამასთან, იგი ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით საქართველოში ყოფნის წესების დარღვევისთვის დადგენილი განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა ქვეყნიდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მასზე არ გაიცემა საქართველოს ვიზა და საქართველოში შემოსვლის ნებართვა მანამ, სანამ არ აანაზღაურებს აღნიშნულ დავალიანებას.”.

16. 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ და ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი